

ივანე აშირხანაშვილი
(საქართველო)

სტილი – კულტურული მდგომარეობა

(მეტაფრასტიკის მაგალითზე)

ჟანრი თავის თავში ატარებს ევოლუციის კოდს, ისწრაფვის ცვლილებებისკენ, განახლებებისკენ, განვითარებისკენ.

თანამედროვე თეორიის ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის დეფამილარიზაციის უნარი. კერძოდ, ფორმალისტების თვალსაზრისით, ლიტერატურას ახასიათებს სწრაფვა სამყაროს ხელახლა აღმოჩენისკენ, დადგენილის, ნაცნობის, ფამილარულის შეცვლისკენ, გაუცხოებისკენ ანუ დეფამილარიზაციისკენ (რატინი 2009: 34).

რალაც მსგავსი მოვლენა ხდება მეტაფრასტიკაში, მართალია, მცირე, მინიმალური ფორმით, მაგრამ მაინც: განახლება, შეცვლა, ტრანსფორმირება აგიოგრაფიული ჟანრის ინტენციური თვისება აღმოჩნდა.

აქაც ხორციელდება შინაგანი პროცესი. ჟანრის ისტორიაში დგება მომენტი, როდესაც მარტივი, „ლიტონი“ თხრობა ველარ აკმაყოფილებს შუა საუკუნეების ბიზანტიის რიტორთა და სტილისტთა „პრეტენციოზულ მოთხოვნებს“ (კეკელიძე 1957: 140-141).

ინყება ტექსტების გადაკეთება-გალამაზება. ყურადღება ექცევა ფორმას, ენას, სტილს. შინაარსშიც შეაქვთ გარკვეული ცვლილებები. შლიან სხვადასხვა დროის ჩანამატებს, შეაქვთ ახალი კონცეპტები ანუ იღებენ ინტერპოლაციებს, რათა შექმნან ექსტრაპოლაციები, ანუ თანამედროვე თვალსაზრისი გადააქვთ წარსულში.

სრულდება სოციალური დაკვეთა. საზოგადოება ითხოვს „გარდაკაზმულ“ ამბავს. სიტყვამ უნდა გაამძაფროს ალქმა, სრულყოს იდეალის გააზრება. მეტაფრასტიკა პასუხია საზოგადოებრივ გემოვნებაზე.

ყოველი ტექსტი იწერება კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტული მიზნით, კონკრეტული მკითხველისათვის. იცვლება ეპოქა, იცვლება კულტურული სიტუაცია, იცვლება გემოვნებაც და ალქმის თავისებურებანიც.

სტილი, როგორც დროის მოთხოვნა, როგორც „მოდერნი“, როგორც თანამედროვეობის შეგრძნება, როგორც პასუხი ეპოქის მოთხოვნებზე.

ჟანრი ცოცხლობს მანამ, სანამ მასში ჩანს დროის შეგრძნება. როგორც კი ეს შეგრძნება იკარგება, ჟანრიც კვდება.

მეტაფრასტიკა მართო სტილი არ არის, ის სულიერი მდგომარეობაა, რომელიც საზოგადოებრივ განწყობილებებს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, მეტაფრასტიკა ახალ კულტურულ მდგომარეობას აფიქსირებს. ბიზანტიაში ის სათავეს იღებს IX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ხატმბრძოლობა მარცხდება და იქმნება ახალი კულტურული სიტუაცია; საქართველოში კი მისი დასაწყისი ემთხვევა X საუკუნის ბოლოს ათონზე ქართული სალიტერატურო სკოლის ჩამოყალიბებას, რაც ასევე ახალი ინტელექტუალური აქტივობის მაუწყებელია.

ბიზანტიაში სვიმეონს, მაღალი თანამდებობის პირს, ლოლოთეტს ანუ მთავარ დიპლომატს, საშუალება ეძლევა საიმპერატორო არქივებიდან გამოიტანოს ცნობები და „შეაწყოს და შეკაზმოს“ ტექსტები, რომლებიც თავდაპირველი სახით ნამდვილ სურათს კი არ იძლევიან, არამედ „ნახშირითა გამოსახულ ხატს“ წარმოადგენენ (კეკელიძე 1057: 146).

მანამდე აგიოგრაფია ცდილობდა მთელი სიმძიმე რელიგიურ განცდებზე გადაეტანა და ამიტომ ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სიტყვიერ შემოქმედებას.

მეტაფრასტიკამ მიზნად დაისახა აგიოგრაფიაში მხატვრულ-გამომსახველობითი დონის ამაღლება (სირაძე 1978: 140).

მოკლედ, მეტაფრაზირება ეწოდა აგიოგრაფიული საკითხავების ძველი, კიმენური რედაქციების გადამუშავებას. „მეტა-ფრაძო“ – პარაფრაზირება, გადაფრაზირება. მეტაფრასისი არის გადამუშავებული, განსხვავებულად გამოხატული, „თარგმნილი“ ტექსტი.

ბერძნულად მეტაფრასისი, ქართულად – „გარდაკაზმული“, როგორც ეფრემ მცირე იტყოდა.

გადამეტაფრასება, როგორც გავრცობა, ნიშნავს ტექსტის რამდენიმე კუთხით შემატებას, გაზრდას, რაც გულისხმობს თხზულებისთვის შესავლის წამძვარებას, სასწაულების აღწერას, პარალელებისა და სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან ფაქტობრივი მასალის დამატებას (ხინთიბიძე 1982: 101).

მეტაფრაზირების წესია – „გარდაიკაზმოს“ ის ტექსტი, რომლის ავტორი ლიტონი, რიგითი, უბრალო „არა წმიდათაგანია“. წმინდა მართლმადიდებელ მამათა მიერ დაწერილ ტექსტს ვერავინ შეეხება, ამას მხოლოდ მწვალებელი ან ეკლესიისაგან განდგომილი თუ გაბედავს. თუმცა ეს წესიც ირღვევა, ზოგჯერ მართლმადიდებელ მამათა ტექსტებსაც „კაზმავენ“, თანაც წმინდა კაცები და არა განდგომილნი.

პროცესი პროცესია.

მეათე საუკუნის მიწურულს მშრალი, ლიტონი თხრობა აღარ აინტერესებთ, გულისყურით აღარ უსმენენ, მათთვის უცხოა, არასერიოზულად ღებულობენ, სიამოვნების ნაცვლად სიცილს ჰგვრის (ბააკაშვილი 1977: 4). მათში არ იყო მტკიცე კომპოზიცია და თანმიმდევრული აზრი, უხეში სტილი ყურს სჭრიდა და მსმენელს თუ მკითხველს სიამოვნების ნაცვლად ნალველს ჰგვრიდა (მინე : 197).

სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებებსა და მის მიერ გამოყენებულ წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კიმენური ტექსტის გადამეტაფრასება გულისხმობს ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ გადამუშავებას, მის პოეტურ დახვეწასა და გამშვენიერებას, მეტაფრასტი ავტორები ყურადღებას აქცევენ ფორმას, ენასა და სტილს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თხზულების შინაარსს უცვლელად ტოვებენ (მახარაშვილი 2002: 64).

კარლ კრუმბახერი სვიმეონ მეტაფრასტის სტილზე საუბრისას გამოყოფს ტექსტების სამ კატეგორიას. პირველი, ეს არის მეტაფრასტები, რომლებშიც ძველი ტექსტი უცვლელი სახით არის დატოვებული; მეორე კატეგორია წარმოადგენს ლეგენდებს, რომლებმაც სრული სტილისტური გადამუშავება განიცადა; მესამე, ისეთი რედაქციები, რომლებიც ფაქტობრივად ახალ თხზულებებს წარმოადგენს (Krumbacher 1897: 201).

როდესაც ჟანრის კანონი ძველდება, ტექსტი კარგავს ცხოველმყოფელობას. ამ დროს ზემოქმედების რაკურსს ცვლიან. მეტაფრასტიკა ცვლის ზედაპირს და მიდის სიღრმეში. ნიშანდობლივია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „წმინდა გიორგის წამების“ მინაწერი. ექვთიმე წერს, სვიმეონ ლოლოთეცის ამ ტექსტს საბერძნეთის ბევრ ეკლესიაში კითხულობენო, „რამეთუ სიღრმისათვის იხუმევენ ამას“ (სირაძე 1978: 148). ფაქტოლოგიას ემატება „ფიქტოლოგია“, რათა ფაქტი უფრო შთამბეჭდავი გახდეს. თუმცა ფიქცია სიტყვიერ-აზრობრივი წიაღ-სვლების საზღვრებს არ სცილდება.

მეტაფრასტებმა ძველ ტექსტებში შეიტანეს სისადავე, დამაჯერებლობა, სიმწყობრე, მაგრამ სტილი, მანერა, საერთო განწყობილება შეინარჩუნეს, რადგან არ უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ახალი ნაწარმოები იწერებოდა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდათ იმაში, რომ საკუთარი აზრები ჩაერთოთ ნაწარმოებში. ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ინტერპოლაციებს ზოგჯერ პოლიტიკური რეზონანსიც ჰქონდა. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, სვიმეონ ლოლოთეცის მიერ ახლად გარდაკაზმულ „ნეტარი თეოკტისტე ლეზველის ცხოვრებას“ კითხულობდნენ კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ ეკლესიაში, როდესაც გაისმა ასეთი ფრაზა: „წარვლინებულ ვიყავ მორწმუნისა მეფისა ლეონისაგან, რომელმაც ყოველი განმარჯვებულებაი ბერძენთა მეფობისაი საფლავსა თვისსა თანაშთაჰვლა“. მეფე ბასილი უალრესად აღაშფოთა ამ სიტყვებმა, კერძოდ, თავისი წინამორბედის ქებამ და ეკლესიებს აუკრძალა სვიმეონის წიგნების წაკითხვა (ეფრემ მცირე 1957: 224).

მეტაფრასტიკის მამამთავრების, სვიმეონ ლოლოთეცისა და იოანე ქსიფილინოსის, შემოქმედების ანალიზის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ბიზანტიური მეტაფრასტიკის თავისებურებები, რომლებიც ძირითადად გაიზიარა და აითვისა ქართულმა აგიოგრაფიამ: 1. ძველი, კიმენური ტექსტების სტილისტური გადამუშავება; 2. ერესის ნაკვალევის აღმოფხვრა; 3. ძველი ავტორის თხრობის მანერის შენარჩუნება; 4. უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორება; 5. ძველი თხზულების გავრცობა; 6. ტექსტის შევსება ფაქტობრივი მასალით; 7. თხზულებითვის შესავლის წამძღვარება; 8. სასწაულების აღწერა (ბაკაშვილი 1977: 8-17).

ტრადიციული წარმოდგენით, მეტაფრასული ტექსტი უზვსიტყვაობითა და კაზმული სტილით გამოირჩევა, რაც, კაცმა რომ თქვას.

შედარებისთვის ავიღოთ კიმენური „მოქცევაი ქართლისაი“ და არსენ ბერის მეტაფრასული თხზულება „ცხოვრებაი ნინოსი“. მაგალითად, ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი ამ ტექსტებში წმ. ნინოს მამა ზაბილონი.

კიმენი: „იყო მათ ჟამთა ოდენ გიორგი კაბადუკიელი ინამა ქრისტისთვის, მათ დღეთა კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაი ღმრთისაი, წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად“ (ძეგლები 1963: 106).

მეტაფრასი: „...ვითარცა მთიები, მდიდარი ბრწყინვალეობითა ვარსკვლავთა შორის, გამოჩნდა ყოვლად-ბრწყინვალე იგი და საჩინოი მნათობი, უძლეველი მხედარი მეუფისა დიდისაი, კადნიერად მდგომარე წინაშე პირისა ღმრთისასა, მსწრაფლი და მხურვალე, მეოხი და მფარველი და ხელის-აღმაპყრობელი ყოველთა მორწმუნეთაი, და უფროისად ნათესავისა ჩუენისაი, დიდებული მოწამე ქრისტისი

გიორგი, რომელმან ილუანა დიოკლიტიანეს ზე, რომელი აღმოეცენა ყოვლად-სა-
ქებელით და უფროსლა ესევეთართა ნერგთა მიერ ქუეყანით კაბადუკით, რომ-
ლისა ლუანლისა და ნამებისა ჟამთა და ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანა-
მოქალაქე მისი, კაცი კეთილად მორწმუნე, შვილი მდიდართა და წარჩინებულთაი,
კუალად იყო იგი ძლიერ და ახოვან და განთქმულ წყობათა შინა, რომლისა სახელი
ზაბილო“ (ძეგლები 1971: 11).

შესაძლოა ეს არ იყოს გადამეტაფრასების ყოველმხრივ სანიმუშო მაგალი-
თი, მაგრამ აშკარად ჩანს ავტორის მოტივაცია, განავრცოს ტექსტი, სტილის-
ტურად დახვეწოს ენა, ფრაზები უფრო კეთილხმოვანი და ჰარმონიული გახადოს,
თანაც ისე, რომ პირველწყაროს თხრობის მანერა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნოს.
ერთ ფაქტობრივ დეტალსაც ამატებს, კერძოდ, იმას, რომ ამბავი დიოკლიტიანეს
დროს ხდება.

იმას, რასაც არსენ ბერი აკეთებს, როგორც მეტაფრასტი, შეიძლება ტენ-
დენციურობა ვუნოდოთ. ტენდენციურია მისი დამოკიდებულება, რადგან აქვს წი-
ნასწარ აღებული მეთოდი და სქემა, რომელიც უნდა განახორციელოს. ისე უნდა
გადაამუშაოს ტექსტი, რომ გახადოს რაც შეიძლება აქტუალური, საზოგადოები-
სათვის მისაღები, მოსასმენი.

თხზულება პანეგირიკულ ხასიათს ღებულობს და ეს არ არის გასაკვირი,
რადგან ამას ჟანრის პრინციპი მოითხოვს. მეტაფრასტმა უნდა დაწეროს წმინდა-
ნის სიტყვიერი ხატი. პანეგირიკი რიტორიკულ ტენდენციებს აძლიერებს, ზედა-
პირზე ამოაქვს ის, რაც აგიოგრაფიის საფუძველში დევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეტაფრაზირების პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ
მანაც არის შემთხვევები, როდესაც კიმენური კონტექსტი უფრო ვრცელია, ვიდრე
მეტაფრასული. მაგალითად, ავიღოთ „მოქცევაის“ ეპიზოდი ფარვანის ტბასთან,
სადაც წმინდა ნინო მეთევზეებსა და მწყემსებს ხვდება და შევადაროთ არსენ ბე-
რის მეტაფრასული ტექსტის შესაბამის მონაკვეთს.

კიმენი: „და მივემთხვიე მათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელ-
სა ერქუა ფარვანაი, და დავდეგ მუნ ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მეთევზურ-
თაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდელისაითა, და მადლი შევსწირე ღმერთსა.
და მწყემსნი იყვნეს მასვე ადგილსა და ხუმილვიდეს სახუმილავსა ღამისასა სამ-
წყსოთა შინა მათთა. და ხადოდეს ღმერთთა მათთა დაწყეულთა არმაზს და ზადენს
და უთქუმიდეს შესანიარავთა, რაჟამს მოვიდეთო. დილასა ადრე მივედ და ვჰკი-
თხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქუენ. ხოლო მან მომიგო
მე: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი
დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“
(ძეგლები 1963: 116).

მეტაფრასი: „და მიემთხვია ტბასა, რომელსა ეწოდების ფარვანაი, და მუნ
დაადგრა ორ დღე. და მოილო საზრდელი მეთევზურთაგან და გაძლიერდა და
ადიდებდა ღმერთსა. კუალად იყვნეს მათვე ადგილთა მწყემსნი ცხოვართანი და
მემროწლენი ზროხათანი, რომელნი არვეობდეს მათა მათ ზედა სამწყსოთა მათ-
თა. ჰკითხვიდა მათ ღირსი ნინო ვინაობასა და სადაითობასა. ხოლო მათ მიუგეს:
რომელნიმე ელირგნით ვართ და რომელნიმე ქინძარელნი, სხუანი საფურცლით და
რომელნიმე ქალაქისა დიდისა მცხეთისანი“ (ძეგლები 1971 :19).

იმისათვის, რასაც კიმენი 87 სიტყვით გადმოგვცემს, მეტაფრასტიკისთვის მხოლოდ 59 სიტყვაც საკმარისია. ეს, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათი შემთხვევაა, არ არის პარადოქსი. როგორც კარლ კრუმბახერის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, მეტაფრასტიკისთვის თვითმიზანი არ არის ტექსტის გავრცობა, ზოგჯერ შეიძლება არაფერი შეცვალოს და წინარე ტექსტიდან გადმოიტანოს მხოლოდ ის, რაც მოცემული კონტექსტისთვის ესაჭიროება.

მეტაფრასტიკის სტილი რიტორიკის კანონებს ექვემდებარება. ტექსტს მეტი გამომსახველობა და სილამაზე უნდა მიენიჭოს, რათა მან უპასუხოს დროის მოთხოვნებს.

სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს – ეცემა ძველ ცხოვრებათა პოპულარობა და, პირიქით, სულ უფრო მოდური ხდება მეტაფრასი, რომელიც საეკლესიო კალენდარულ ტრადიციაში ექცევა: სვიმეონი გადაამეტაფრასებს შემოდგომა-ზამთრის (სექტემბერ-იანვარი) თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტვილობებს, იოანე ქსიფილინოსი კი – დანარჩენი შვიდი თვის ტექსტებს.

ქართულ მეტაფრასტიკაში მოდის კანონმდებლად თეოფილე ხუცესმონაზონი გვევლინება.

ქართული მწერლობა რეაგირებს ბიზანტიურ ლიტერატურაში დაწყებულ პროცესზე, გაიაზრებს მეტაფრასული გარდასახვების, გნებავთ, „გარდაკაზმვების“ სტილს.

ქართულ აგიოგრაფიაში მეტაფრასტიკის პოპულარობასა და მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ იოანე ქსიფილინოსის, მეორე დიდი ბიზანტიელი მეტაფრასტის, თხზულებები მხოლოდ ქართული თარგმანებით შემორჩა ლიტერატურის ისტორიას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს მეტაფრასტიკა *a priori* გულისხმობს კიმენის გაუმჯობესებას; თითქოს კიმენი, როგორც ტექსტი, მდარე ლიტერატურულ პროდუქციას წარმოადგენს. დრომ მოითხოვა კიმენის გადამუშავება იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც საზოგადოების გემოვნებასა და მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

ეს ხდება X-XI საუკუნეებში. აგიოგრაფიის ჟანრი აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს. სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ აგიოგრაფიის ისტორიაში არ ყოფილა სხვა მოვლენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეტაფრასტიკას შეედრებოდეს (სირაძე 1978: 140).

სტილი როგორც დროის ნიშანი, კულტურული მდგომარეობა, სოციალური დაკვეთა. მწერალს თამაშის წესებს ჟანრი ჰკარნახობს, ჟანრს კი – თავად დრო.

დაისმის კითხვა, ჟანრი ფორმისთვისება თუ შინაარსისა? გარეგანი ფორმა იმდენად არის გამოკვეთილი, რომ მასთან შედარებით შინაარსი მეორეული მოვლენა ხდება, მაგრამ საბოლოო ჯამში ფორმა იმისათვის განიცდის მეტამორფოზას, რომ შინაარსი გადმოსცეს რაც შეიძლება ეფექტურად. ამდენად, ჟანრი ფორმა-შინაარსისთვისებაა.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში ჟანრი იცვლება, მის სტრუქტურაში რაღაც ახალი შედის, ოღონდ სიახლე არ არის მოცემული იმ დოზითა და ფორმით, რომ მასში მოთავსებული შინაარსი შეცვალოს, აქედან გამომდინარე, მეტაფრასტიკის მიმდინარეობა გვიჩვენებს აგიოგრაფიის ჟანრის, როგორც კატეგორიის, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმალურ-შინაარსობრივ ერთიანობას.

დამონებანი:

- Arsen Beri. “Tskhovrebai Ninoisi”. *Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit’erat’uris Dzeglebi*. Ts. III (Met’aprasuli Redaktsiebi, XI-XIII ss.). Ilia Abuladzis Khelmdzghvanelobita da Redaktsiit. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1971 (არსენ ბერი. „ცხოვრებაი ნინოისი“. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. წ. III (მეტაფრასული რედაქციები, XI-XIII სს.). ილია აბულადის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971).
- Baak’ashvili, Vakht’ang. *Kartul-Bizant’iuri Met’aprasuli Agiograpiis Urtiertimarteba da Dziritadi Tavisebirebani. Dzveli Kartuli Lit’erat’ura (XI-XVIII)*. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1977 (ბაკაშვილი, ვახტანგ. *ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის ურთიერთიმართება და ძირითადი თავისებურებანი. ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII)*). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977).
- Eprem Mtsire. Mosakhsebeli Mtsire Svimeonistvis Loghotet’isa. K’ek’elidze. K’. *Et’iudebi Dzveli Kartuli Lit’erat’uris Ist’oriidan*. T’. V. Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak’ademiis gamomtsemloba, 1957 (ეფრემ მცირე, მოსახსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეცისა. კეკელიძე. კ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. V. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957).
- K’ek’elidze, K’orneli. *Et’iudebi Dzveli Kartuli Lit’erat’uris Ist’oriidan*. T’. V. Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak’ademiis gamomtsemloba, 1957 (კეკელიძე, კორნელი. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. V. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957).
- Krumbacher Karl, *Geschichte der byzantinischen Literatur*. München: 1897.
- Makharashvili, Soso. *Teopile Khutsesmonazoni (Shemokmedebiti P’ort’ret’i)*. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 2002 (მახარაშვილი, სოსო. *თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2002).
- Migne. *Patrologia graeca*, t.114, გვ.197.
- Rat’iani, Irma. *Janris Teoria*. Tbilisi: lit’erat’uris inst’it’ut’is gamomtsemloba, 2009 (რატიანი, ირმა. *ჟანრის თეორია*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009).
- Siradze, Revaz. *Kartuli Estet’ik’uri Azris Ist’oriidan*. Tbilisi: gamomtsemloba “khelovneba”, 1978 (სირაძე, რევაზ. *ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1978).
- “Moktsevai Kartlisai”. *Dzveli Kartuli Lit’erat’uris Dzeglebi*. Ts. I (V-X ss.). Ilia Abuladzis Khelmdzghvanelobita da Redaktsiit. Tbilisi: saqartvelos metsnierebata ak’ademiis gamomtsemloba 1963 („მოქცევაი ქართლისაი“. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. წ. I (V-X სს.). ილია აბულადის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963).
- Khintibidze, Elguja. *Kartul-Bizant’iuri Lit’erat’uruli Urtiertobebis Ist’oriisatvis*. Tbilisi: tsu gamomtsemloba, 1982 (ხინტიბიძე ელგუჯა. *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1982).

Ivane Amirkhanashvili
(Georgia)

Style – Cultural Situation **(on the example of Metaphrastics)**

Summary

Key words: metaphrastics, hagiography, style, epoch, Symeon Metaphrastes.

Genre bears within itself the code of evolution and strives for change, renovation, development. The rewriting and embellishment of texts starts. Attention is paid to the form, language, style. Certain changes are made to the content too. The insertions done at different times are removed and new concepts are introduced, i.e. they remove interpolations in order to create extrapolations, i.e. transfer contemporary vision to the past.

Social order is fulfilled. The society demands embellished story. The word should strengthen the perception, improve understanding of the ideal. Metaphrastics is a response to contemporary literary taste. Each text is written in a particular epoch, with the specific purpose and for a specific reader. Times change, cultural situation changes too, tastes and peculiarities of perception alter too.

Style as a demand of the times, as the “modern”, as a perception of contemporaneity, as a response to the needs of the age. Genre is alive until it is consonant with the spirit of the times. Once this perception is lost, genre is dying.

Metaphrastics is not just a style only; it is the spiritual situation which expresses public attitudes. Hence, metaphrastics sets new cultural situation. In Byzantine it began to take shape in the 9th century after the defeat of Iconoclasm and creation of a new cultural situation; and in Georgia its beginning coincides with the establishment of Georgian literary school on Mt.Athos at the end of the 10th century that is also signifies new intellectual activity.

Metaphrastes brought the plainness, persuasiveness, organization in the old texts but they preserved style, manner and general attitude because there should not be created the impression as if they produced entirely new texts. Nevertheless, this did not prevent them to include their own thoughts in the composition.

According to traditional view, metaphrastic text is distinguished with verbosity and elegance of style which is true but, at the same time, there are separate cases when Cymenian redaction describes some details more broadly, extensively, with verbosity and besides this, in more figurative, embellished style.

For metaphrastes, the extension of a text is not an end in itself, sometimes nothing may be changed and transfer from the previous text just what is needed for the given context. The metaphrastic style is subordinated to the canons of rhetoric. The text should acquire more expressiveness and perfection in order to respond the needs of the times. Beauty requires sacrifice – the popularity of old ways of life is declined and more and more trendy becomes metaphrasis which appears in the church calendar tradition: Symeon

initiates paraphrasing of saints' vitae for autumn-winter (September-January) months, and Johannes Xiphilinos - the texts of the rest seven months.

A close scrutiny of Symeon Metaphrastes compositions and the sources used by him make it clear that paraphrasing of cymenian text implies literary and aesthetic revision of a composition.

While dealing with Symeon Metaphraste's compositions, Karl Krumbacher singles out three categories. The first category is metaphrastes in which the older text is left unchanged as it was; the second category includes legends which experienced total stylistic revision; to the third category belong such redactions which actually represent new compositions.

According to Hans-Georg Beck, Symeon, as a remarkable phenomenon of the tenth-century hagiography, joined historicism of hagiography and Greek hagiography.

When the law of genre becomes outdated, the text loses vitality. At such time an angle of impact is changed. Metaphrastics changes the surface and goes into the depth. Noteworthy is the inscription on the "Martyrdom of St.Giorgi" translated by Ekvtime Mtastmindeli. Ekvtime writes that this text of Symeon Logothetes is read in many Greek churches, because "it is used for profundity".

In Georgian metaphrastics Theophile Kutsesmonazoni appears as authority. Georgian literature responds to the processes started in Byzantine literature, grasps the style of metaphrastic transformations, if you like, "embellishment". The popularity and importance of metaphrastics in Georgian hagiography is also testified by the fact that the compositions of the second great Byzantine metaphraste Johannes Xyphiline are preserved only in Georgian translations for the history of literature.

Style as a sign of the time, cultural state, social order. Genre dictates the game to the writer and to the genre – time. It is crucial to ask whether genre is the feature of a form or contents. The external form is so much pronounced that the contents compared with it, becomes a secondary phenomenon but in the end the form is subjected to metamorphose to render the content as much effectively as possible. Hence, genre is a feature of a form and content.

In every historical epoch genre changes, something new enters its structure, but the novelty is not given in such dose and form as to change the content put in it. Therefore, the metaphrastic movement shows the unity of historically established form and content of hagiographic genre as a category.

According to the analysis of the oeuvre of the founders of metaphrastics - Symeon Logothetes and Joannes Xiphilinus, the peculiarities of the Byzantine metaphrastics which were shared and mastered by Georgian hagiographers: 1. Stylistic revision of the old Cymenian texts; 2. Elimination of the traces of heresy; 3.Preservation of the rendering mode of the old author; 4. Correction of inaccuracies and inconsistencies; 5. Extension of old compositions; 6. Feeling of the text with actual material; 7. Introduction to the composition; 8.Description of miracles.